



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

განცხადება N1

21 მაისი, 2008, 11:30

„სამართლიანი არჩევნები“ აგრძელებს დაკვირვებას. როგორც იცით ორგანიზაციას საქართველოს მასშტაბით მივლენილი ჰყავს 1400-მდე დამკვირვებელი. ორგანიზაცია ასევე ახორციელებს ხმების პარალელურ დათვლას (PVT), რომელიც განხორციელდება საქართველოს მასშტაბით რეპრეზენტატიულად შერჩეულ უბანთა რაოდენობაზე, საპარლამენტო არჩევნების პროპორციულ სისტემაზე. ორგანიზაცია ხმების პარალელურ დათვლას ახორციელებს როგორც რაოდენობრივ ასევე ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

ამ ეტაპისათვის PVT ცენტრში მიღებულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

PVT-ის მონაცემებით საქართველოს მასშტაბით უბანთა 9%-ზე დაფიქსირდა 1500-ზე მეტი რეგისტრირებული ამომრჩეველი.

უბანთა 65% -ზე დაფიქსირდა, რომ მიღებული ბიულეტენები ნაკლები იყო უბანზე ერთიან სიებში არსებულ ამომრჩეველთა რაოდენობაზე. მაგალითად:

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 59, #10 და #2 საარჩევნო უბნებზე;

#22 მარნეულის საარჩევნო ოლქის # 76 საარჩევნო უბანზე;

#53 ვანის საარჩევნო ოლქის # 13 საარჩევნო უბანზე;

#9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის # 15 და #10 საარჩევნო უბნებზე.

შესაძლოა ამ გარემოებებით სერიოზული პრობლემა არ შეიქმნას იმ შემთხვევაში თუ უბანზე ამომრჩეველთა 100% არ გამოცხადდება. თუმცა კანონი ითვალისწინებს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე მეტი ბიულეტენის მიტანას.

უბანთა 6%-ზე დაფიქსირდა, რომ ბიულეტენთა შეკვრაში არ იყო კანონით გათვალისწინებული რაოდენობა. თითო ბიულეტენის შეკვრა უნდა შეიცავდეს ზუსტად 50 ბიულეტენს.

გარდა ამისა, ამ ეტაპისათვის მიღებულია ინფორმაცია შემდეგ დარღვევებზე:

პროცედურების დარღვევით ჩატარდა წილისყრა

#9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის # 48 საარჩევნო უბანზე, #79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 55 საარჩევნო უბანზე, #22 მარნეულის საარჩევნო ოლქის # 2 საარჩევნო უბანზე.

დაგვიანებით გაიხსნა უბანი

22 მარნეულის საარჩევნო ოლქის # 76 საარჩევნო უბანი, სადაც დაიწერა საჩივარი;

61 ლანჩხუთის საარჩევნო ოლქის #1 საარჩევნო უბანზე, #81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 43 საარჩევნო უბანზე;

#30 კასპის საარჩევნო ოლქის # 3 საარჩევნო უბანზე.

41 ნინოწმინდის საარჩევნო ოლქის 24 საარჩევნო უბანზე.

დამკვირვებლების დაშვების პრობლემა შეიქმნა

9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის # 87 საარჩევნო უბანზე.

#81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის #31 საარჩევნო უბანზე, პრობლემა მოგვარდა ოლქის ჩარევის შემდეგ.

დამკვირვებელს უხეზად ექცევიან #79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 49 საარჩევნო უბანზე

თავისუფალი მუშაობის საშუალებას არ აძლევენ ორგანიზაციის დამკვირვებელს

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 49 საარჩევნო უბანზე;

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის #32 საარჩევნო უბანზე;

14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის # 15 საარჩევნო უბანზე.

ამომრჩევლები საჯაროდ აძლევენ ხმას და ამაზე რეაგირება არ მოახდინა საარჩევნო ადმინისტრაციამ

61 ლანჩხუთის საარჩევნო ოლქის #21 და #9 საარჩევნო უბნებზე, თუმცა სხვა უბნებზეც დაფიქსირდა იგივე ფაქტები.

საჩივარი არ ჩაიბარეს

22 მარნეულის საარჩევნო ოლქის #37 საარჩევნო უბანზე;

#79 ბათუმის საარჩევნო ოლქის #49 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრი უბნის წარმომადგენელთა რეგისტრაციაში გატარებამდე აპირებდა ხმის მიცემას. შედეგად უბანზე დაიწერა საჩივარი.

საარჩევნო ყუთი არ იყო დალუქული

#11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის # 37 საარჩევნო უბანზე არ იყო დალუქული საარჩევნო ყუთი და არეულია საარჩევნო სიები. უბანი გაიხსნა ნახევარი საათის დაგვიანებით.

მიღება- ჩაბარების აქტები არ იყო შემდეგ უბნებზე:

22 მარნეულის საარჩევნო ოლქის # 1 და # 20 საარჩევნო უბნები. ორივე უბანზე დაიწერა საჩივარი.

არეულობა დაფიქსირდა შემდეგ უბნებზე:

22 მარნეულის საარჩევნო ოლქის #56 და 76 საარჩევნო უბნებზე;

#11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის #37 უბანზე სიის დანართში რეგისტრირებულია ამომრჩევლები, რომელთაც შეუძლიათ უბნებზე მისვლა.

სიებში პრობლემები

#5 ისნის საარჩევნო ოლქის #6 უბანზე ამომრჩეველთა სიას აკლია ასო “ვ”-ს ნაწილი (სულ 41 ამომრჩეველი)

სიის დანართში არსებული პრობლემები

საექვოდ დიდი რაოდენობა ამომრჩევლებისა ფიქსირდება კახეთის რეგიონში.

#59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის #13 საარჩევნო უბანზე სიის დანართი შედგა დღეს დილის 9:30 წუთზე, რაც კანონით დაუშვებელია.

ბიულეტენები არ მოწმდება ბეჭდებითა და ხელმოწერებით რეგისტრატორების მიერ

#22 მარნეულის საარჩევნო ოლქის #76 საარჩევნო უბანზე.

ბიულეტენების ჩაყრა

#14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქის #19 საარჩევნო უბანზე მოხდა ბიულეტენების ჩაყრა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწერა საჩივარი სხვა დამკვირვებლების მიერ. ჩვენი ორგანიზაცია აგრძელებს ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას.

მარკირების პროცედურები

#37 ახალციხის საარჩევნო ოლქის #20 საარჩევნო უბანზე გაფუჭდა მარკირების შემოწმების აპარატი და 7 ამომრჩეველმა ხმა მისცა მარკირების შემოწმების გარეშე.

10:00 საათისთვის ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ საერთო ჯამში შეტანილ იქნა დაახლოებით 15 საჩივარი.

